

ჰაერის ტემპერატურის ცვლილება ქ.თბილისში 2004-2024 წლებში

მარიამ მოდრეკელიძე

ელ-ფოსტა: mariam.modrekelidze643@ens.tsu.edu.ge

ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიისა და

მეტეოროლოგიის დეპარტამენტი,

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზირი 1

ჰაერის ტემპერატურა წარმოადგენს ამინდის და კლიმატის ძირითად მახასიათებელს, შესაბამისად მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის არსებობისთვის და ზოგადად ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფეროში. ტემპერატურული რეჟიმი და მისი ცვალებადობა გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობაზე, ეს იქნება სოფლის მეურნეობა, მშენებლობა თუ სხვა დარგები.

კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც იწვევს ბუნებრივი მოვლენების გააქტიურებას და ტემპერატურის სწრაფი ტემპით გაზრდას ან შემცირებას. ჰაერის ტემპერატურის საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების მერყეობის თავისებურებების გამოვლენას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როგორც განვლილი პერიოდის კლიმატური პირობების შესწავლისათვის, ისე მათი განვითარების ხასიათის დადგენისას. ამიტომ თბილისის მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო ტემპერატურის შესახებ საარქივო მასალებისა და მიმდინარე პერიოდის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებულ იქნა ამ პარამეტრის დროში ცვალებადობის თავისებურებები 2004-2024 წლებში.